

÷ ÷ ÷

რამდენი წვიმა ჩამოიცალა,
რამდენი წვეთი, რამდენი ცვარი...
მაგრამ გული არ გამოიცივალა
და სიყვარული არიუ
არც არი...

ხან შეივსება, ვით ჯამში ღვინო,
ხან იფანტება, როგორც ნაცარი,
ხან აყვავდება, როგორც ღიღილო,
ხან ჩამოდნება, როგორც ანჩხარი,

ხან ჩუმად არი.., თითქოს არც არი...
მაგრამ გვსურს იგი კვალად ვიხილოთ,
თუმც გვახსოვს მისი ნააგვაცარი.
ხან კი ჩაგვივლის ველურ კივილით,
როგორც დამლენი სალმანასარი!
მაშ, ვთქვათ სახსრების ყველა ტკივილით,
ამწვარ ლოყაზე ცრემლის ნაცვართ;
"ერთხელ ვიხილოთ"
დავიღიღინოთ,
ჰეი, არი და...
ვგონებ, არც არის.